ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა:

არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)

შემოქმედებითი ტურის პირობები

საბაკალავრო პროგრამის: "**არქიტექტურა (ძირითადი სპეციალობა)**" სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი, რომელიც წარმატებით გადალახავს შემოქმედებით ტურს და ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს.
შემოქმედებითი ტურის მიზანია, აბიტურიენტთა შემოქმედებითობის, სივრცითი აზროვნების, სამგანზომილებიანი სივრცის აღქმისა და ვიზუალურად გადმოცემის უნარების გამოვლენა და შეფასება. ტურის ფარგლებში, აბიტურიენტებს დაევალებათ წინასწარგანსაზღვრული დროისა და რესურსების გათვალისწინებით შეასრულონ დავალება, რომელიც წარმოაჩენს მათ უნარებსა და შესაძლებლობებს.

შემოქმედებითი ტურის ძირითადი ეტაპები და მოთხოვნები:
შემოქმედებითი ტური შედგება ორი ნაწილისაგან:

I ნაწილი:

სტუდენტს გაეგზავნება თემა/დავალება, რომლის ფარგლებშიც უნდა შესრულდეს არქიტექტურული ნამუშევარი. ნამუშევარი/გრაფიკული მასალა შესაძლოა წარმოადგენდეს ჩანახატებს, დიაგრამებს, ნახაზებს, კოლაჟს, ან მათ კომბინაციას. შესრულებული უნდა იყოს ხელით ან კომპიუტერული პროგრამით. გრაფიკულ მასალასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული არქიტექტურული ნამუშევრის კონცეფციის ტექსტური ნაწილი/განმარტებითი ბარათი (200-300 სიტყვა).

II ნაწილი:

აბიტურიენტს შემოქმედებითი ტურის I ნაწილის გავლის შემდეგ შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს ტურის II ნაწილში, სადაც:
ა) აბიტურიენტმა უნდა წარადგინოს პირველ ნაწილში გამოგზავნილი ნამუშევრის ორიგინალი/ბეჭდური ვერსია, ასევე სხვა დროს შესრულებული ნამუშევრები (მინიმუმ სამი) რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს:

- სხვადასხვა სახის გრაფიკულ ჩანახატს/ნახატს;
- მცირე ზომის მოცულობით მაკეტს/მაკეტებს;

- სხვადასხვა ტექნიკაში შესრულებული ნებისმიერი სახის ნამუშევარს.

ბ) აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს კომისიის წევრების მიერ წინასწარ განსაზღვრული დავალება, რისთვისაც მიეცემა შესაბამისი დრო.

გამოცდის პროცესში ჩართული იქნება პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

შემოქმედებითი ტურის II ნაწილი ჩატარდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელოსნო სივრცეებში, რომლებიც აღჭურვილი იქნება დავალებაზე სამუშაოდ საჭირო ნივთებითა და ხელსაწყოებით.

შემოქმედებითი ტური შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	მისაღები	ნაწილობრივ მისაღები/დამაკმაყოფილებელი	მიუღებელი
კრეატიულობა (შემოქმედებითობა და თავისუფალი აზროვნება)			
იდეის სივრცითი გადმოცემა (სივრცითი აზროვნება, სამგანზომილებიანი სივრცის აღქმა და ვიზუალურად გადმოცემა)			
ტექნიკური გამართულობა (ნამუშევრის შესრულების ტექნიკური სისრულე)			
კონცეფციის (განმარტებითი ბარათის) შინაარსობრივი მხარე (სიცხადე და შესაბამისობა შესრულებულ ნამუშევართან)			

კონცეფციის ტექნიკური გამართულობა (ენობრივი და სტილისტური გამართულობა)			

შეფასება:

თუ აბიტურიენტი ზემოთ წარმოდგენილ ხუთივე კრიტერიუმში მიიღებს შეფასებებს: „**მისაღები**“ და „**ნაწილობრივ მისაღები/დამაკმაყოფილებელი**“, მას შემოქმედებითი ტური **ჩაბარებულად ჩაეთვლება**. **წინააღმდეგ შემთხვევაში** (თუ ერთ კომპონენტში მაინც მიიღებს შეფასებას: „მიუღებელი“), აბიტურიენტი **ეთიშება კონკურსს**.